(2005)

<u>რეზოლუცია</u> ევთოს საპარლამენტო ასამბლეის მეთოთხმეტე ყოველწლიური სესიისა. **მდგომარეობა აფხაზეთში, საქართველო**

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 2005 წლის 1-5 ივლისი

1. ადასტურებს რა ყველა წევრი-სახელმწიფოს ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და აუცილებლობას, განისაზღვროს აფხაზეთის სტატუსი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ამ პრინციპების მკაცრი შესაბამისობით,

2. იმოწმებს გაეროს უშიშროების საბჭოს, ევთოსა და მისი საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებს მდგომარეობის შესახებ აფხაზეთში, საქართველო,

3. მიესალმება მეგობართა ჯგუფის უფროსი წარმომადგენლებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგულარული თათბირების განახლებას ჟენევაში,

4. გამოხატავს ღრმა სინანულს იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის პროგრესი აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიმართულებით,

5. ხაზს უსვამს, რომ ძალიან გაგრძელდა პროგრესის არარსებობა აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების ძირითად საკითხებში, რაც მიუღებელია,

6. შეახსენებს რუსეთის ფედერაციას, რომ მან იკისრა საერთაშორისო ვალდებულება, ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს დიალოგის გამართვა კონფლიქტის მხარეებს შორის,

7. გამოთქვამს ღრმა შეშფოთებას აფხაზეთის, საქართველო, სპეციალური კომიტეტის მუშაობაში პროგრესის არარსებობასთან დაკავშირებით, რამდენადაც ბოლო ოთხ წელიწადში ერთი ნაბიჯით წინ წაწევაც კი ვერ მოხერხდა,

8. აგრეთვე გამოთქვამს სინანულს იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზურ მხარეს არ აღმოაჩნდა პოლიტიკური მზადყოფნა, შეხვედროდა აფხაზეთის, საქართველო, სპეციალური კომიტეტის წარმომადგენლებს, რაც ხელს უშლის კომიტეტს, განახორციელოს თავისი დიალოგის მოწყობის მანდატი,

9. მოუწოდებს ევთოს საპარლამენტო ასამბლეის რუსეთის დელეგაციას _ წარმომადგენელს ქვეყნისა, რომელსაც აქვს საერთაშორისო ვალდებულება, როგორც ხელშემწყობ მხარეს, ამ კონფლიქტში, მანდატის განხორციელების მიზნით აღმოუჩინოს მხარდაჭერა ევთოს საპარლამენტო ასამბლეის აფხაზეთის, საქართველო, სპეციალურ კომიტეტს,

10. დაბეჯითებით მოუწოდებს კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს, გააკეთონ ყველაფერი, რაც შესაძლებელია, საქართველოში მოუგვარებელი კონფლიქტების გადაჭრის გზების მოსაძიებლად;

11. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, თავი შეიკავოს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რაც დააბრკოლებს მშვიდობიან პროცესს აფხაზეთში, საქართველო,

12. განაგრძობს მხარი დაუჭიროს ევთოს საპარლამენტო ასამბლეის აფხაზეთის, საქართველო, სპეციალური კომიტეტის საქმიანობას და მოუწოდებს, გააქტიუროს მუშაობა.

13. მოუწოდებს მუდმივ კომიტეტს, მხარი დაუჭიროს აფხაზეთის, საქართველო, კომიტეტს მისი მანდატისა და შემადგენლობის კორექტირების მეშვეობით;

14. ავალებს ევთოს საპარლამენტო ასამბლეის აფხაზეთის, საქართველო, საკითხთა სპეციალურ კომიტეტს,

ა. გააქტიუროს თავისი ძალისხმევა მხრეთა ჩასაბმელად რეალურ დიალოგში, რომელიც მიდის არსებითი პროგრესისაკენ კონფლიქტის მოწესრიგების ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორიცაა პოლიტიკური სტატუსი, უსაფრთხოების ყოვლისმომცველი გარანტიები, ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნება ღირსების პატივისცემის პირობებში, აგრეთვე ეკონომიკური საკითხები.

ბ. დაამყაროს დიალოგი საკანონმდებლო ორგანოების, დაწესებულებების, პოლიტიკური პარტიების, თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და წაახალისოს გაცვლა-გამოცვლა მათ შორის;

გ. რეგულარულად ჩავიდეს ხოლმე ამ რეგიონში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სიტუაციის შეფასებას არაორგანიზებული წესით დაბრუნებულ ლტოლვილებთან და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით, და ადამიანის უფლებათა დარღვევას ამ რეგიონში, განსაკუთრებით, გალის რაიონში, აგრეთვე ამ საკითხზე მოხსენებების წარმოდგენას.

დ. ხელი შეუწყოს ეუთოს ეუთოს ВКНМ კონკრეტული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას ამ რეგიონში, კერძოდ, გალის რაიონში;

ე. შეიმუშაოს და დაამტკიცოს 2005-2006 წლების მოქმედების გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს აფხაზეთის, საქართველო, სპეციალური კომიტეტის კონკრეტულ ღონისძიებებს, მიმართულს კონფლიქტის მოწესრიგების ხელშესაწყობად ა-ფ ქვეპუნქტებში მითითებული ამოცანების განხორციელების ხარჯზე;

ვ. რეგულარულად მოახსენოს მუდმივმოქმედ კომიტეტს (ან ბიუროს/ პლენარულ სესიას) თავის საქმიანობაზე, მოქმედების გეგმის შესრულებაში მიღწეულ პროგრესზე და აფხაზეთში, საქართველო, მიმდინარე მოვლენებზე, აგრეთვე, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები ეუთოს საპარლამენტო ასამბლეას;

15. ხაზს უსვამს ლტოლვილების და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების საკითხში პროგრესის მიღწევის მწვავე საჭიროებას და მოუწოდებს აფხაზურ მხარეს, გამოავლინოს დაბრუნებულთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენისაკენ ნამდვილი მისწრაფება და განახორციელოს ეს ამოცანა უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში საერთაშორისო სამართლის U 1087 შესაბამისად,

16. შეახსენებს ამასთან დაკავშირებით, რომ რუს მშვიდობისმყოფელებს და აფხაზურ მხრეს ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაბრუნებულების დაცვისა და დარჩენილი გადაადგილებული მოსახლეობის დაბრუნების ხელშეწყობის საქმეში;

17. გადაჭრით უჭერს მხარს და აქტიურად უწყობს ხელს გაეროსა და ეუთოს გადაწყვეტილებათა შესრულებას გალის რაიონში გაეროს/ეუთოს ადამიანის უფლებათა დაცვის ბიუროს განყოფილების შექმნის შესახებ.

(www.osce.org)

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. მინისტერიალის საბჭო

ლუბლიანა, **2005 წლის 6 დეკემბერი**

განცხადება საქართველოს შესახებ

1. ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ჩვენ კვლავ მივესალმებით საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს და მოვუწოდებთ ხელისუფლებას გააგრძელოს მისი ძალისხმევა ამ მიმართებით. ჩვენ მხარს ვუჭერთ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ძალისხმევას და კვლავ ვადასტურებთ ეუთოს ადრინდელი სამიტებისა და მინისტერიალის საბჭოს დოკუმენტებს საქართველოს შესახებ.

2. ჩვენ მივესალმებით ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების მიზნით განხორციელებულ ინიციატივებს. თუმცა ვწუხვართ, რომ ბოლო თვეებში სამშვიდობო პროცესის პოზიტიურ დინამიკას ჩრდილი მიაყენა ძალადობრივმა აქტებმა და მივუთითებთ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრინციპებისადმი ერთგულების აუცილებლობაზე, როგორც ეს 1992 წლის 24 ივნისის სოჭის ხელშეკრულებაშია დადგენილი. ჩვენ მოვუწოდებთ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში (საქართველო) სიტუაციის სტაბილიზაციის შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელებისაკენ, კერძოდ, კონფლიქტის ზონის დროული და სრული დემილიტარიზაციისკენ. ჩვენ მივესალმებით საქართველოს მხარის მიერ გადადგმულ

ნაბიჯებს, რომლებიც კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას ემსახურება და ვიმედოვნებთ, რომ ბოლო პერიოდის წინადადებები, განსაკუთრებით, სამშვიდობო გეგმა _ რომელიც დაფუძნებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სხდომაზე წარდგენილ ინიციატივებზე და მოწონებულია მხარეების მიერ _ საფუძველს დაუდებს კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას. ჩვენ მივიჩნევთ, რომ საქართველოს პრემიერ მინისტრის დროული შეხვედრა სამხრეთ ოსეთის ლიდერთან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სამშვიდობო პროცესის გააქტიურებისთვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ეუთოს ჩართვას. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საჭიროა მოლაპარაკების არსებული მექანიზმების ქმედითობის ამაღლება, ერთობლივი საკონტროლო კომისიის ჩათვლით, და მათ ფარგლებში მიღწეული გადაწყვეტილებების სრული განხორციელება. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს ხელი შეუწყოს დიალოგს და გააძლიეროს ძალისხმევა ყველა დონეზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკურ მოლაპარაკებებს და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას. ამ კონტექსტში ჩვენ კმაყოფილებას გამოვხატავთ ეუთოს, ევროკავშირს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის ოთხმხრივი თანამშრომლობის მიმართ კონფლიქტის ზონაში რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის მიერ ფინანსდება და მიზნად ისახავს ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნებისთვის საჭირო პირობების შექმნას. ჩვენ ველოდებით ეუთოს მოხსენებას საჭიროებათა შეფასების კვლევის შესახებ და იმ პროექტების განხორციელებას, რომლებსაც იგი განსაზღვრავს პირობების გაუმჯობესებისა და კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენის მიზნით.ჩვენ კვლავ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ ერთობლივ საპოლიციო მოქმედებებს კონფლიქტის ზონაში.

3. ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, რომ აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებში წამყვან როლს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ასრულებს. ჩვენ მზად ვართ გავაგრძელოთ თანამშრომლობა ეუთოსთან და გაეროსთან და მხარი დავუჭიროთ გაეროს გენერალური მდივნისა და მისი საგანგებო წარმომადგენლის ძალისხმევას, რუსეთის ფედერაციის, როგორც ფასილიტატორის, ასევე გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის დახმარებით. ჩვენ მზად ვართ განვამტკიცოთ რეგიონში ჩვენი ჩართულობა, განსაკუთრებით ჰუმანიტარული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროექტების მეშვეობით. ჩვენ ვწუხვართ, რომ დღემდე ვერ მოხეხდა გაეროსა და ეუთოს ერთობლივი ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნა გალის რაიონში და მოვუწოდებთ აფხაზურ მხარეს უმოკლეს პერიოდში დათანხმდეს მის გახსნას და უზრუნველყოს ოფისის შეუფერხებელი მუშაობისთვის საჭირო უსაფრთხო პირობები. ჩვენ გვჯერა, რომ ამგვარი ოფისი ხელს შეუწყობს რეგიონში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებას და ლტოლვილთა და დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისთვის საჭირო პირობების შექმნას. ჩვენ მივუთითებთ ნდობის აღდგენის ღონისძიებების პოზიტიურ როლზე და დაპირისპირების განუახლებლობის მნიშვნელობაზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ გაეროს სამოქალაქო პოლიციის კომპონენტის განლაგებას გალის რაიონში და მოვუწოდებთ აფხაზეთის მხარეს დათანხმდეს მათ სწრაფ განლაგებას.

4. ჩვენ მივესალმებით რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინსიტროების ერთობლივ განცხადებას, რომელიც გაკეთდა 30 მაისს, მოსკოვში. ამ თვალსაზრისით, ჩვენ კმაყოფილებით მივუთითებთ მოლაპარაკებებზე, რომლებიც ჩატარდა მოკლე პერიოდში ბათუმსა და ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზების ფუნქციის ცვლილებისა და მათი გაყვანის საკითხებზე, რაც ასახულია 1999 წლის 17 ნოემბერს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ერთობლივ განცხადებაში და წარმოადგენს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის საბოლოო აქტის დანართს. ჩვენ მივესალმებით საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის მძიმე შეიარაღების ნაწილის გაყვანას. ჩვენ მივესალმებით მიმდინარე მოლაპარაკების პროცესის შემდგომ განვითარებას, როგორც გუდაუთაში მრავალეროვნული მისიის არსებობის შესაძლებლობის, ასევე მისი მიზნის ჩამოყალიბების კუთხით.

5. ჩვენ ვაღიარებთ ეუთოს ტრენინგის დახმარების პროგრამის მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც საქართველოს მესაზღვრეთა შესაძლებლობებისა და უნარის გაუმჯობესებას ემსახურება. (http://www.osce.org/documents/mcs//2005/12/17369ენ.პდფ/საკუთარი თარგმანი)